



დღედათა კომიტეტისაგან შეკრებილ თანხას მიუძღონ და ერთი კარგად მოწყობილი დღედათა სასწავლებელი დააარსონ პანსიონით. მაგრამ ეს სასწავლებელი ისეთ ადგილას უნდა დაარსდეს, რომელიც ხელ-მისაწვდომი იქნება ორივე გუბერნიების თავად აზნაურებისათვის.

ესეთ ადგილად მიგვიჩინა ჩვენ დაბა სურამი. რადგანაც ეხლა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საჭიროებელი შეერთებულია რკინის გზით, ამიტომ ეს ადგილი არავისთვის შორს არ იქნება. ამას გარდა სასწავლებელი უნდა იქნას ოთხ-კლასიანი და თან მოსამზადებელი კლასებიც უნდა ექმნას. რაღა თქმა უნდა, სკოლა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ნამდვილად ჩვენი დღევანდელი მოთხოვნები და საჭიროება დააკმაყოფილოს, რომ ნამდვილად ცხოვრებისთვის მოამზადოს ჩვენი ღარიბი თავად-აზნაურების ქალები.

იმერეთისა და ამერეთის პატარა ქალების ერთად ყოფნას და აღზრდას თავის-თავად ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ქალებისთვის, რადგანაც ერთ-გვარ მიმართულებასა და შეხედულებას შეიძენენ სკოლაში ყოფნის დროს და შემდეგ შეუძლიათ დიდი გავლენა იქონიონ თავიანთ შვილებზე.

გ. წაღტუვალი.

# დეკემბერი

(არუსეთის დეკემბრის სადგინტოსაგან)

## 13 ნოემბერი

**პატივსაცემი.** 13 ნოემბერს, დილით, დიდი ცეცხლი გაჩნდა პეტერბურგის ლითონის ქარხანაში. მთლად გადაიწვა სანიმუშო ფარდული. ზარალს ასი-ათას მანეთამდე ანგარიშობენ.

**მარშაბი.** ლიბ-გვარდიის ულანთა და გროდნოს ჰუსართა პოლკების ოფიცრები გუშინ დანციგში მივიდნენ, დილის 10 საათზე. რკინის გზის სადგურზე დახვდნენ მათ ჰუსართა ბრიგადის ყველა ოფიცრები. თერთმეტ საათზე რუსის სტუმრები წავიდნენ სადარბაზოდ მე-17 არმიის კორპუსის სარდალთან, ქალაქის კომენდანტთან, რუსეთის ელჩთან, აღმოსავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტთან და დივიზიის გენერალთან. 12 საათზე მათ პარტიის საცემლოდ საუბრე იყო გამართული პრუსიის მე-2 ლიბ-ჰუსართა პოლკის ოფიცერთა საკრებულოში. ნაშუადღევს 2 საათზე მათ დათვლიერეს რუსეთის ძველი 1813 წლისა და შემდეგ ქალაქის ღირს-შესანიშნავი ადგილები. ექვს საათზე ქალაქმა ნადიმი გამართა და საღამოს 8 საათზე — საღმრთაწაულთა წარმოდგენა.

**ნიშნის-ნიშნობილი.** საგუბერნიო საე-

რობო კრებაზე აღიძრა კითხვა შინა-მრეწველობის დასახმარებლად სახელმწიფო შინა-მრეწველობის ბანკის დაარსების შესახებ. თუ ვინცოცხა საეროობა კრებამ მოიწონა გეგმა წესდებისა, იმ შემთხვევაში წესდება წარედგინება განსახილველად პეტერბურგის შინა-მრეწველთა კრებას.

**ოკრილი.** 13 ნოემბერს, ღამით, სატუსალოდან ოთხი კატორგაში გაგზავნილი ტუსალი გაიქცა. მათგან ორი ძმა ორეხოვებია, რომელთაც ჰბრალდებთ ზელენინის ქალის მოკვლა.

**მოსკოვი.** ნებევარზე მეტა სტუდენტობა თხოულობს სწავლის ფასისაგან განთავისუფლებას მოსკოვში.

მოსკოვში ირჩევა საყურადღებო საქმე: ვილაც სტალიაროვის ოჯახი თხოულობს დამხდვევ საზოგადოების „პომოშია“-საგან 250,000 მ. სტალიაროვს, რომელსაც თავი ამ საზოგადოებაში ჰქონია დაზღვეული, როგორც მშობლები ამტკიცებენ, მკურნალებლად უტრიალებია ხელში რევოლვერი, გავარდნია და სასიკვდილოდ დაშავებულია. დამხდვევი საზოგადოება უარს აცხადებს ფულის მიცემაზე და თხოულობს მიცვალებულის გვამი ამოიღონ საფლავიდან და შეამოწმონ — იქნება სტალიაროვმა თავი მოკლაო. დამხდვევ საზოგადოების თხოვნასასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა.

ვილაცა ნ. წავიდა მგზავრთა მატარებლით სადგურ მალახოვკაში, თავის ოჯახში. იმავე ვაგონში იჯდა ორი სუფთად ჩაცმული ქალი. მგზავრები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და ქალებმა თანამგზავრს კამფეტები შესთავაზეს. ნ—ემ თავი ცუდად იგრძნო. ერთმა ქალთაგანმა სადგურ ვიშნიაკზე წყალი მოუტანა. ნ—მა წყალი დალია და გონება მთლად დაჰკარგა. გაბრუებული მივიდა კოლონომდე. აქ, როცა ის კონდოქტორმა გააღვიძა, შენიშნა, რომ თანამგზავრი ქალები ვაგონში აღარ იყვნენ. ნ—ს აღარა ჰქონდა საათი, ნავაჭრი და ფული. ნ—ს სამი დღე იყო ავად და ამ ხნის განმავლობაში ხშირად ერეოდა გული.

**ქიმი.** უფროვმა ნება მიიღო გამოსცენ კიევში, შმიდტის რედაქტორობით, ყოველ დღიური გაზეთი, ცენზურის თვალყურის გდებით სახელად „სამხრეთ დასავლეთ მხარის ტელეფონი“.

**ჰაბაბა.** როგორც ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, დედოფალი მორჩენილია, თუმცა კიდევ რამდენიმე დღე არ გამოვა ოთახიდან.

**პარიზი** გაზეთმა „პტი რეპუბლიკ“-მა გენერალ ვუარონის საიდუმლო მოხსენება დაბეჭდა. ეს მოხსენება სოციალისტ დეპუტატს სემბას ერთი მოხელის შემწევობით ეშოვა. ამ მოხსენებაში ვუარონი ირწმუნება, საფ-

რანგეთის ჯარი ჩინეთში გაცილებით უკეთესად იქცეოდა, სინემ სხვა სახელმწიფოების ჯარებია. ფრანგი ჯარის კაცები მხოლოდ აქა-იქ, კანტი კუნტად სკარცვადნენ ჩინელებს. ჯარის კაცებს მისიონერები აქვებდნენ და ძალას ატანდნენ, ჩინელები გაცარცვთო. მისიონერებმა 300 ჩინელი-ქრისტიანი იახლეს, თან 40 ურემიც წაიღეს, პრინც ლის სასახლეში წავიდნენ, იქ კარგა ბლომად ვერცხლის ფული ჩაიდეს ხელში და ყოველ მეზღვაურ-ჯარის კაცს, რომელმაც კი ცარცვაში მონაწილეობა მიიღო, 2000 ფრანკის ჩეკი მისცეს. მეზღვაური ჯარის კაცები უარზე დადგნენ და ეს ჩეკები აღარ დააბრუნეს. ბოლოს ჩეკები ჯარისკაცებს დარჩათ; 5000 ფრანკის ჩეკზე თითონ ებისკოპოსს ფაფიეს მოეწერა ხელი.

**ლონდონი.** მდინარე ტემზისა, ბრისტოლის არხისა და სამხრეთ-ნაპირის ნავთსადგურის დასაცველად აშენებულ სიმაგრეებში ახალი ზარბაზნები დააწყეს ამ ორი კვირის განმავლობაში 200 ძველი ზარბაზნის მაგივრად სულ 9 ახალი ზარბაზანი დააწყეს. ეხლაც მხნედ მუშაობენ იმ აზრით, რომ ლონდონის ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრეები მიუღვამელი გაჰხადონ.

**ქრონშტადტი.** ლობავიდან სახელო კრებისერი „აზია“ მოვიდა.

**ბაშა.** 10 ნოემბერს შეიარაღებული ყაჩაღები დაეცნენ კასპის-შავის-ზღვის საზოგადოების კონტროლს საბუნჩაში. ყაჩაღები — ექვსი კაცი იყო, — კონტორაში შევიდნენ და ეზოშიაც თავიანთ ამხანაგები დააყენეს, 5,437 მან. მოეტაცათ. თუმცა პოლიცია და ყაზახები გამოუდგნენ, მაინც ყაჩაღები დაიმაღნენ.

**პატივსაცემი.** 13 ნოემბერს ცარსკოე-სელოში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა სპარსეთის ახალი საგანგებო ელჩი მუშირ-ულ-მულკი და თავისი რწმუნების საბუთები ჩააბარა.

(სალამოს დეკემბერი იხილეთ მე-4 გვერდზე)

# ყურნალ-გაზეთებიდან

**სამხრეთ-აზრია.** ამოხინგ ზოსტა-ში ერთი ინგლისელი ფერმერის წყრილი დაიბეჭდა. ეს ინგლისელი 20 წელაწადა თურმე კაზის კოლხანაში ცხოვრობს და იქ ფერმერს ქქახია. ამ ფერმერზე ბურები მისუფან სუკსათის გამოსართმევედ. ფერმერი თავის დას სწავს: რაზმის უფროსმა ჯერ საღამო შოგვდა — ბურები არას დრას არ დააფეკებენ საღამის მიტემას — და მეტე ცხენიდან ჩამოხტა. ჩამოხტნენ მისი უფროსი ოფიცრებიც. ჯარის-კაცები ცხენების მოსაძებნად წავიდნენ. მე ვსთხო-

როგორ მიეყრდნენ. რამდენიც ხანი გადიოდა, გრძობა უფრო ძლიერდებოდა და იგინე ველარ არკვევდნენ, — საღ იყვნენ, ან რას ჩაიღოდნენ...

ეს სანეტარო ხე ხე ხე ხე შესწყიტეს მათ ცრუ ბიძის შემოსვლით. იგი შემოვიდა თავით ფეხამდე იარაღით აღჭურვილი; ერთის შეხედვით პირველი მისი განზრახვა იყო მოეკლა როგორც მემნონი, აგრეთვე თავისი ძმისწული; ბოლოს ბიძის შეგტყო, რომ იგი აპატოვებდა მათ ამ დანაშაულს, თუ ცოტა ფულს გაიმეტებდნენ. მემნონი მზათ იყო მიეცა ყოველივე, რაც კი გააჩნდა, და დიდი მოხარულიც იყო, რომ ასე იაფად განსაცდელისაგან თავი დაახწია.

სიარტხვილ-მორეული მემნონი წავიდა თავისთვის. სახლში დახვდა ბარათი, რომლითაც იწვევდნენ მას გულითად მეგობართან დროს გასატარებლად. „თუ მარტოდ დავრჩი მე, იფიქრა მემნონმა, შეეწუხები ამ დამაღონებელ შემთხვევის მოგონებით, ჰამის მადაც დამეკარება და ავადაც ვავხდები; უფრობესია წავიდე მეგობრებთან და მათთან გავიყო ჭირი და ღხინი; იმათთან დავიფიწყებ იმ სისულელეს, რომელიც დღეს დილით ჩავიდინე“. მემნონი გაეშურა მეგობრებთან; მეგობრებმა რაღაც მწუხარება

შეამჩნიეს მას და ამისთვის ღვინო დააძალეს სევდის გასაქარებლად. „ზომიერად მიღებული სასმელი წამლათ ერგება სულსა და გულსა“, — იფიქრა მემნონმა და კიდევაც გადაჰკრა ღვინო. რომ შეზარბოდა, ბანქოს სათამაშოდ მიიწვიეს. ამეგობრებთან წესიერად თამაში პატიოსანი დროს გატარებაა — იფიქრა მემნონმა და დაჯდა ბანქოს სათამაშოდ.

ბანქოში წავაგო არამც თუ ის, რაც ჯიბეში ჰქონდა, არამედ ოთხჯერ მეტი და რადგანაც ფული არ ჰქონდა საყოფად, პირობა მისცა მეგობრებს — გადაგიხდითო. თამაშის დროს ასტყდა ძლიერი ჩხუბი; ერთმა გულითადმა მეგობარმა თვალი მოსთხარა მემნონს. თვალმოთხრილი ბრძენი მიიყვანეს სახლში მთვრალი და ჯიბე დაკარილებული. ცოტა ხნის შემდეგ მემნონი გამოხიზლდა, დაუძახა მოსამახურეს და გაგზავნა ნინე-ვიაში მოურავთან ამხანაგების გასასტუმრებელ ფულის მოსატანად. მოურავმა აცნობა, რომ მისი მეველე გაკატრებულია. მოთმინებიდან გამოსული თვალშეხვეული მემნონი გაექანა კეისართან სამართლის სათხოვრად. იქ მას შეხვდნენ ქალები; ერთმა ნაცნობმა აათვალბიერ-დაათვალბიერა და გაკვირვებით მიაძახა: ჯვია უბედურებას!

მეორემ, უფრო ახლო ნაცნობმა, უთხრა: „სალამო მშვიდობისა, M-eur Memnon, სად დაგიკარგავს თვალი?“ და პასუხსაც აღარ მოუცადა, ისე ჩაიარა. მემნონი კუთხეში მიიმაღა და მარჯვე დროს ეძებდა მუხლ მოყრით შეხვეწნოდა კეისარს. ეს წამიც დადგა. მემნონი ჯერ სამ-გზის ეამბორა მიწის კეისარის წინ და მერე თხოვნა მიართვა. კეისარმა მოწყალებით მიიღო და გასცა ბრძანება დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებით იგი. კეისარის მოხელემ გაიხმო მემნონი და ამაყად და მწარე დაცინვით უთხრა: „მე შენ ცალთვალა მისხარა მგონიხარ; შენ ჯერ ჩემთან უნდა მოსულიყავი და შემდეგ კეისართან; შენ გაბედე საჩივრის შეტანა იმ პატიოსანს კაცზე, რომელიც ჩემს მფარველობას ქვეშ იმყოფება და რომელიც ჩემი საყვარლის მოსამახურეს ძმის-წულად მოხვდება.“

ამ საქმეს თავი დაანებე, ჩემო კარგო, თუ გსურს, რომ მეორე თვალიც შეგრჩეს.“ ამ სახით მემნონი, რომელმაც დილით უარჰყო ქალებთან სიამოვნება, სიმთვრალე, თამაში, ყოველნაირი უკმაყოფილება და განსაკუთრებით სასახლეში სხვა და სხვა პირებთან ხვეწნა-მუღარა — საღამომდის

ვე რაზმის უფროსს: ნუ დაშლუხვ, ჩემო წლის ამაკს ერთხად ნუ მასხამავ. ამაზე უფროსმა ზრდილობანად მიმხმარტო იმას წავიდეთ, რაც ჩვენთვის არაა და თქვენი ფერმის გათხრას სრულად არა ვფიქრობო.

მართლაც და ძლიერ გამოსარდა, რამე ვინახე, რამ უგულა ჯარის-კაცები საკვრელე მარჩილებდნენ უფროსს და იმის დაკვრელად არას აკეთებდნენ. ბევრმა ჯარის-კაცმა თან სხვებაც შემოვიდა, ზრდილობანად რი და ვავა შავგთხოვა. ბევრმა მათგანმა გდისურა კითხვაც იფოდნენ და საკვრელე სიღინჯით წავითხეს ინგლისური გასულსადაც ბევრი ცუდი ამბავი ეწერა ბურების ზმზე.

ბურები მთელი დღე ჩვენ ფერმზე დამა და საღამოთი ცხენებზე შესდნენ და წასასვლად დაეშინდნენ. სინამ წავიდოდა, უფრო გამომიხვდა: ავარკად დაისსამეთ ჩვენი ბეკლამბიის სიტყვები: თუ ვინმე გატყავს შესტყობინებლად, რომ ჩვენ აქ ვიყოფით, გაგზავნილი კაციც თაფთთ დაისხრატება თქვენც 1,250 ფრანკი ჯარამა გადაგზავნის გაფრთხილდითა.

დასასრულ, ფერმერი სწავს: კაციც იგის, ბურების ზრკლამბიის დაქმნილად თუ ინგლისის სამხედრო კანონებს, ამ კანონის ძალითაც ხომ რამ-წამს ბურები გაივლსაღმე, მაშინვე ინგლისელ მოხელეებს უნდა ტყობინოა.

ბურების გუნდებზე ინგლისელ 4000 ბური და მათი მამხრე უხსოველი ტყვედა. ერთი ტყვე კერმანელი სწავს იგაზეთ ტახანს: ამ 4000 კაცში 100 ბურები ურგვია: ესენი 60 წლისზე მეტი ხნის არან და ერთი მათგანი 79 წლისა. ამას გარდა ტყვეები მომეტებულ ნაწილად ლეები, ბრძები და დამზლად ჩავარდნილები არ ტყვეებში 250 ბაგშევი ურგვია.

აქედან სჩანს, რომ ინგლისელებს შინა მინდ თვალი არ მოუთხრათ ბურების ჯარის. ამიტომაცაა, რომ აშდენი ტყვე წავნეს ინგლისელებს და ბურების ჯარს კოტქო არა აკლდება რა. ისევე შედგნად იბრის და ხშირად ამარცხებენ კადრე ინგლისელებს აზსტრ-შეზრათი. ზარდაშენტის დამდეგას არა უგულა რა: ისეც ისე დამაზად არეულოდა. უგულა ერაგუნების დეპუტატთა თაყინთსას თხოულობენ და მოიკებთ ფიდაც არ მისდით. ერთის სიტყვით, ავსტრ-ზარდაშენტი ძლიერ დასწეულებულ კაცს მოგანებთ, გერც ერთმა ავსტრიაელმა ექიმმა და გერა უშეგლა რა ამ სენს. ამ ექიმების მაღი სენს არ უხდება, არა სჯარის და ამოზარდაშენტსაც თავისი სატკივარო უფრო ხელდება და ვინ იგის რაკორ ექნება მისი ქვე. ავსტრიაში ზოგაერთმა ექიმებმა,

გაცარცვა და მოატყუა ლამაზმა ლმა; დათვრა, ფულები წავაგო, ას ჩხუბი, თვალი მოითხარა და ბოლოს დაბლესის სათხოვარით იღვა სასახლის რზე, სადაც სასტიკად დასცინოდნენ მათ.

გაშტერებული და მწუხარებისაგან ნენ-მიხილილი მემნონი შეწუხებული დაბრუნდა სახლში. მისი მწუხარება აქ უფრო ორკეცდა: სახლში დახვდა ბოქაულ რომელთაც ხის ავეჯი გამოჰქონდა მეველეების დასაკმაყოფილებლად. ნონი უგრძნობლოდ იღვა ქადრის ხის ქვე აქ იგი ხედავს დილით გაცნობილს ლქალს თავის ბიძასთან მოსეირნეს; თუ შეხვეულ მემნონის დანახვავზე ქალმა სილი ველარ შეიკავა. კიდევ დაღამდა.

მემნონი ჩალაში ჩაწვა თავის საღვვრდით, კედლის ძირას. ჯერ ძლიერ აცოვა და მერმეთ დაიძინა. ძილში მამოეცხადა ზეციური „სული“. იგი სულ ბრწყინავდა. ექვსი მშვენი ფრთა ესხა, მაგრამ არც თავი და ფხები არა ჰქონდა; იგი არავის არ და... — ვინ ხარ შენ? — ჰკითხა მას მემნონმა.



კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას მოუთხოვნია საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან დაწერილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი გზები შეუკეთებიათ, ან როგორ და რომელ გზების შეკეთებას შეეძლო მომავალ წელს. ეს ცნობები საქირია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ფული იქმნება საქირია მომავალ წელს ამ საგნისათვის.

ამ წლის პირველ იანვრიდან 4 ნოემბერამდე ქალაქს შემოსვლია დასაფასებელი გადასახადი 345,348 მ. 38 კ. გასულ წელს კი ამავე დროს შემოსავალი იყო 334,177 მ. 98 კ. ჯარიმა ამ გადასახადის დროზედ შემოუტანლობისათვის ამავე ხნის განმავლობაში შემოსულა—17,823 მ. 84 კ.

ამ კვირაში უმაღლესი საეკსპერტო კომისიის განხილავს საექსპერტო კომისიების მოხსენებას ექსპონატების შესახებ და ჯილდოებს დაუნიშნავს ექსპონენტებს.

თერგის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სამეურნეო საწყობის გამგე სწერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ მას აქვს ამჟამად მოლაპარაკება ინგლისის ფორმებთან შაბაძის გამოწერის შესახებ. ამ მიწერ-მოწერით გამოარკვეულა, რომ რამდენსაც მეტს გამოიწერს თერგის სამეურნეო საზოგადოება შაბაძის, მით უფრო იფად დაუჯდება. რადგანაც ვარაუდით თერგის საზოგადოებას 2—3 ათასი ფული შაბაძის მეთი არ დასჭირდება, ამიტომ იგი სთხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ერთად გამოიწერონ საქირია შაბაძის. თუ ამაზედ დასთანხმდება საზოგადოება, შეგვაცუბინეთ რამდენი ფული მოგინდებთ დაახლოებით საზოგადოებრივ სეზონისათვის. თერგის საზოგადოება თხოვლობს ცნობებს, თუ როგორ ყიდულობდა შაბაძის სამეურნეო საზოგადოება ფრიდონოვისაგან. როგორც შევიტყუეთ, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს დამოუკიდებლად თითონ გამოიწეროს ინგლისიდან მომავალ წლისათვის საქირია შაბაძის.

დ. ჩხარდანი (შორაპნის მხარე) გვატყობინებენ: „ამ დღეებში ყვირილიდან ჩხარში მომავალი დედაყანა კინალამ დაეჭურება მდ. ჩოლობურში ეს მდინარე დიდის წვიმებისა გამო იმოღვინა გადიდებულა, რომ დიდიანი მოეტანა დიდ მანძილზე და, რომ სოფლები არა, მგზავრები და მეეტლეს დაიღუპებოდნენ. წყლიდან წაღებულ საქონლის ზარალი ას თუმანზე მეტია. არსად დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ცუდი გზა, როგორც ყვირილასა და ჩხარს შუა. ხშირად მთელ თვეობით შეჩერებულია მიმოსვლა და ჩხარის უბანი მოწყვეტილია ქვეყანას. ზემო იმერეთში ჩხარის უბანი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების მხრივ ერთ უმდიდრეს რაიონად ითვლება, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგინი გზების უქონლობის გამო იგი მეტად ჩამორჩენილია. მაგ. აქნობამდე აქ არ არსებობს არც ერთი სკოლა.“

შაბათს, 17 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ექ. ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით სხდომა ექნება იმ კომისიას. რომელსაც მინდობილ აქვს ნატანტის წახალისების წყლის გამოკვლევის საქმე. სხვათა შორის, ამ სხდომაზე მოწვეულნი იქნებიან ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი ბ. ნ. სტეფანოვი, ქალაქის ლაბორატორიის გამგე ალიბეგოვი, ექიმები შტოკმანი, გოლოვკოვი, მუხარინსკი, ბუტვირკინი, უმიკოვი, რაზამატი და ქალაქის ინჟინერი ენფინჯიანიცი.

რედაქციამ მიიღო ზ. კიკინაძისაგან გამოცემული შემდეგი წიგნები: ა. ფურცელაძის თხზულების „თამარ დახუნის“, მეორე გამოცემა და ამავე ქართველ მამულიანების ცხოვრებიდან „ელენე“ ნ—ძირე-ლისა.

ს. პატრა-გუბიდან გვწერენ: „ნოემბრის ცხრას, ნაშუადღევს მეორე საათზე თათივილი, რომელიც

სასოფლო გზის ახლო სტოვრობს, მოესმა რამდენიმე ცხენის და ხარის ფხვის ხმა, წამოიჭრა ლოგინიდან, გამოვიდა ვარუთ და მიმავალთ უკან დაედგა თოფით ხელში. როცა მიუახლოვდა მათ, მიადანა „ვინ ხართ, შეჩერდით“ ცხენოსანმა მგზავრებმა (ხუთი იყვნენ) შემოუტყეს და მიძახეს: „მოგვწორად, ჩვენ გუბელაძეების ხარები მიგვყავს და შენ რათ გვაკლავ თავსო“. რადგან თათივილი არ მოეშვა, ქურდებმა ორჯერ რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ვერ მოახვედრეს თათივილს. თავის მხრივ თათივილიმ სანადირო თოფი ესროლა და საფანტით ორი ქურდი დასჭრა ცხვირ-პირში, დანარჩენებმა რამდენიმეჯერ ესროლეს რევოლვერი თათივილს, მაგრამ ყველა ასცდა. ქურდების რიცხვში მყოფი ქვეითა კაცი, რომელიც ხარებს მიუძღოდა, ტყვეში შეიძალა. ცხენოსნებმა მოინდომეს თათივილის სახლის დაწვა, კიდევ ჩავიდნენ მის ეზოში, მაგრამ თათივილი არ მოეშვა მათ და აქაც ხელი შეუშალა. შერცხვენილი ქურდები იძულებული შეიქმნენ უკან გაბრუნებულიყვნენ და ნაქურდალი საქონელი მიეტოვებინათ.“

პოლიციის მე-10 ნაწილში, 12 ნოემბერს, კრილოვის ქუჩაზე მცხოვრების აგრადინა პირველი სათვის მოლაპარაკეთ ერთი საკერავი მამონა და სხვა ნივთები სულ 58 მან. ღირებულობისა.

### ლუკა ასათიანის გასვენება მუთაბი სიდან

გვირის, 11 ნოემბერს, დიდის 9 საათზე, დიდადი ხალხი შეკრდა ქუთაისის ვაგზაზე. ევალიებით შემკულ ბათუმისა და მოსკოვ ვაგონიდან სხვა და სხვა ქალაქის წარმომადგენლებმა გამოსვენეს ჯეჯე ნიკოლოზის ძე ასათიანის ცხედარი. ქუჩებში ჩამწვარი და დაღუპილი ქალაქის სკოლების მოწვევები თავიანთ მასწავლებლებით, ქუთაისის ქალაქის ამქრები ბიძა-დეებით და მრავალი ხალხი, სოფლები და მეშახალხი შესამჩნევად ბევრი იყო კუბოს წინ მიუძღვოდა უფადად სამდგდე და ღონიერი გრეხულობით. ვაგზის მოგდნთან კუბო დასველეს და აქ ქუთაისის ქალაქის თავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ განსჯებულს გრძობიერა სიტყვებითა; მან აღნიშნა განსჯებულის სისრებედა საზოგადო მოდგაწება შენაშნა, რომ სხვა შემოთავაზებას მას ამ დროში კარგი და შესაფერა მდგომარება შექმნა მოკვებისა, მაგრამ განსჯებულმა დასთმო შიდადი მშვიდობიანობა გამოთვლებას საზოგადოების ერთგულებასა და სიმსხურისათვის: ოდეს ათის წლის განმავლობაში განსჯებულს ევალივე საზოგადო საქმეს და კეთილ დაწესებულებას ჩვენსა ან სათაგეშა უდას, ან თავის გულმხურავე თანაგრძობა-თანამშრომლობას უწევდა; შემდეგ მუშა ხალხმა ცხედარი მხარზედ გადასა და ს. ბორაშ. მისვენა. აქ წირვა გადაიხდა უფადად სამდგდე ღონიერად, რის შემდეგც ცხედარი ხედათ წასვენეს ქალაქის სასფერამდე, აქ პადახინზე დასვენეს და სოფ. ქობატიში წასვენეს. სოფელში განსჯენ მამაშვიტით სხვა და-სხვა ქალაქის დეპუტატებმა, ბათუმის გამგეობის წევრმა და რამდენიმე ხმაზანი, აგრეთვე ქუთ ისის და ფოთის წარმომადგენელი ქალაქის მოურავის თანაშემწე ფანცხავა, ოზურგეთის წარმ. მადგენელი ნ. თავდგ. რ. ქუთაისიდან 30—40 უტვი მოჭებულად დადნ სს. განსჯებულის კუბა შემოიბიდა იყო მრავალის ვაგრებებით, რომელიც გამოეგზავნა სხვა-და-სხვა ქალაქებს, საზოგადოებათ და დაწესებულებათ, სადაც კი უმსახურა: განსჯებულს.

დასწრე.

### მცირე შენიშვნა

ბ. ა. ყუმისთაველს არ სჯერა (იოვ. № 249), რომ მე ექ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრად ვიყავ არჩეული და ევაშათება საზოგადო კრების დადგენილებას. ეს საკითხი საგნებით გამოირკვა წარსულ საზოგადო კრებაზე და მე არ მივაქციედი ყურადღებას ბ. ყუმისთაველის გამოწვევებულს კინკლაობას, რომ ზოგიერთი ფაქტები არ დემონსტრირება.

1) საზოგადოების მდივნად ნამყოფმა, ბ. კარიჭაშვილმა, კატეგორიულად გამოაცხადა, რომ მე ვიყავ წევრად არჩეული, ბ. ყუმისთაველის გადმოცემით კი ბ. კარიჭაშვილი ვითომც ყოყმანობდა და სიეველ

ამბობდა. ბ. კარიჭაშვილმა არა-თუ გაიხსენა ფაქტი ჩემის არჩევისა, არამედ ისიც დაწვრილებით განუმარტა კრებას, თუ როგორ მოხდა, რომ მე წევრად სიაში არ მოგვხდით. კრება ჩემის განმარტებითა და ბ. კარიჭაშვილის ახსნით დაკმაყოფილდა, არ დამაყოფილებულა ბ. ყუმისთაველი; ეს მისი საქმეა, რასაკვირველია, მაგრამ იმას კი ცუდად შერება, რომ სხვის დანაშაულს მე მახვევს კისერზე: საზოგადოების კანცელარიაში აღარ არის საბუთიო, რომ ლასხიშვილი არჩეულ იყო. ეს საბუთი მეც მოვიტხოვე, მაგრამ მიპასუხეს: პირვანდელ ოქმებს (შეად შედგენილს) ჩვენ არ ვინახავთ, ხოლო გადათეთრებულ ოქმში თქვენ არა ხართ ჩაწერილი, რადგან მაშინვე საწვერო ფული არ შემოგიტანიათ. ნუ-თუ ეს ჩემი ბრალია?..

2) ბ. ა. ყუმისთაველი ისე გადმოგვცემს ამბავს, ვითომც მე მხოლოდ წელს გავიხსენე ჩემი არჩევა. ამაშიაც შემცდარი ბრძანდება. მას შემდეგ, რაც წევრთა სიები დაიბეჭდა, მე არა ერთხელ მიმიმართავს თხოვნით გამგეობის მდივნებისათვის—გამოიკვირეთ ჩემი საქმე, აღედგინათ ჩემი უფლება და მეც ფულს გადავიხდი; მაგრამ გადაჭრილი პასუხი არ მიმიღია. ბ. მიქაბერიძისათვისაც რამდენჯერმე გამოხსენებია ეს ფაქტი და, დარწმუნებული ვარ, ის ა. ყუმისთაველს ამის უარს არ ეტყვის, თუ უკანასკნელი დაეკითხება.

3) მე უკანასკნელ კრებაზედაც გამოვაცხადე, რომ 28 ოქტომბერს ბ. შირიანიშვილს დავეკითხე—მაქვს თუ არა უფლება ვირიცხებოდე წევრად მეთქი; მან მიპასუხა—შემოიტანე საწვერო ფულიო, ხელ მეორეთ არჩევა არ შეიძლებაო. როგორ მოხდა, რომ 4 ნოემბერს წავითხულ კანდიდატების სიაში მეც ვყოფილვარ შეტანილი, —ეს მე არ ვიცი; 4 ნოემბერს მე ჩემი გვარი კანდიდატთა რიცხვში არ გამოგონია და არც არავისთვის მითხოვია ჩემ თავდებთ ყოფილიყო. ჩემი გვარი რომ გამეგონა, ვარწმუნებ ბ. ყუმისთაველს, ან პროტესტს გამოვაცხადებდი, ან და ჩემის ხმით არ ვისარგებლებდი...

აი საქმის ფაქტიური მხარე, რაც შეეხება საქმის იურიდიულ მხარეს, ე. ი. მქონდა მე თუ არა უფლება მესარგებლა ხმით, ვითვლები თუ არა წევრად, თუმცა არჩეული ვიყავი და საწვერო ფული დროზედ არ შევიტანე, —ეს კრებამ უკვე განიხილა და თავის გარდაწყვეტილებით აღადგინა ჩემი უფლება. ბ. ა. ყუმისთაველს ეგ ძალიან სწყენია, მაგრამ ეს საქმის ზნობრივს მხარეს შეეხება და დეე ა. ყუმისთაველმა განსაჯოს, რამდენად საქირია იყო ამ ამბის გამოკიდება!

გიორგი ღახისაშვილი.

### სალამოს დეპუტები

(რუსეთის დეპუტთა სააგენტოსაგან)

14 ნოემბერს.

სამხატვროლო. ყირიმელ თათრებისა და ჩერქეზების ოსმალეთში გადასახლება ჯერ არ შეწყვეტილა. დღეს წავიდა აქედან 300-მდე კაცი.

პარიზი. დღეს ისევ ჩინეთის სესხზე იყო ლაპარაკი. დეპუტატი გოტიე წინადადებას იძლევა, რომ „ქურნალ ოფისიელ“-ში გამოცხადდეს თუ რა დაჯდება სესხის მოხდენა. ფინანსთა მინისტრი წინააღმდეგია ამ წინადადებას. პალატამ მიიღო გოტიეს წინადადება 293 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 215-ისა.

დელკასე ავად გახდა და ამიტომ კლოვისის შეკითხვაც ჰააგის კონფერენციის შესახებ გადაიდო.

პარიზი. პალატამ მიიღო ჩინეთის სესხის პროექტის მეორე მუხლი. ლაზი შეეკითხა სამხედრო მინისტრს იმის შესახებ, თუ რამდენად ჰქონდათ ჩინეთის ექსპედიციის აფიცრებს უფლება დაეღოს ადებისა.

ამაზე მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობა განზრახვა იყო მხოლოდ პრინციპულად დაედგინა, რომ დაეღოს ადგება კანონება დართული არ არის. პრინციპულად დაეღოს ადგება, თუ აფიცრები დაუბრუნებენ დაეღოს პატარა ნაწილად დაეღოს ლირებულობის საგნებით გარდა იგი არ მოითხოვს. პასტრს წინადადება მოაქვს მომხდარ სამწუხარო ამბების გამო პროტესტს აცხადებს და ამბობს, რომ ამბები ქვეყნის შემარცხვენილია. პასტრ პრეზიდენტი შენიშვნას აძლევს. საკითხი განხილვის გაგრძელება ხუთშაბათს იქნება.

რედაქტორი გამომცემელი  
ბ. ჭვინაძე ბ. ჭაბუაძე

### განცხადება

წყიდება სრულიად გაწყობილი ორთქლისა, ორთქლის მანქანა და დინამო-მანქანა. პირობების შეტყობა შეიძლება სათავად-აზნაურო მამულების სამმართველო კონტრაში, სასახლის ქუჩაზე, თავის-აზნაურობის სახლში, დილის 11 საათიდან 3 საათამდე. (6—4)

### ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 27 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, თანადასწრებით ქ. ფოთში მოხდება გამგეობის დაწვევითი საჯარო ვაჭრობა, რომლისათვის და გაიყვანს იჯარით ქალაქ ფოთის ქუჩებისა და მოედნების განათება ნავთით 18 წლის განმავლობაში. იმ მოვალეობა უზრუნველ ყოფისათვის, რომელთაც მოგზარადრე იკისრებს, უნდა წარედგინოს გამგეობას გირაოდ ათი პროცენტი საიჯარორო თანხისა, რომელიც უდრის 6000 მანეთს; გირაო უნდა წარედგინოს ნაღდ ფულად ან რუსეთის სახელმწიფო სარგებლობის ქალაქებით ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ აქციებთა და ობლიგაციების და სხვა ფასიან ქალაქებით, რომელთა მიღება ნება დართულია საზაზნო იჯარის გირაოდ. პირობებისა და ქალაქის განათების განიჯვა და სხვა ცნობათა მიღება შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე, კვირის უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 12-მდე. (6. 3—3).

### ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 27 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით, ქალაქ ფოთში მოხდება გამგეობის დაწვევითი საჯარო ვაჭრობა, რომლისათვის და გაიყვანს იჯარით ქალაქ ფოთში ორსართულიანის ქვის სახლის აშენება, რომელთა უნდა შესდგებოდეს ოც-და ხუთმეტ განყოფილებისაგან და რომელშიაც უნდა მოთავსდეს სამეგრელოს საქალაქო ექსპლუატაციის სასწავლებელი; საიჯაროს საერთო ღირებულება—75,000 მანეთი. იმ მოვალეობა უზრუნველ-ყოფისათვის, რომელთაც მოგზარადრე იკისრებს, უნდა წარედგინოს გამგეობას გირაოდ ათი პროცენტი საიჯარორო თანხისა, რომელიც უდრის 6000 მანეთს; გირაო უნდა წარედგინოს ნაღდ ფულად ან რუსეთის სახელმწიფო სარგებლობის ქალაქებით ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ აქციებთა და ობლიგაციებით და სხვა ფასიან ქალაქებით, რომელთა მიღება ნება დართულია საზაზნო იჯარების გირაოდ. პირობებისა და ქალაქის განათების განიჯვა და სხვა ცნობათა მიღება შეიძლება გამგეობაში ყოველ დღე, კვირის უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღის 12-მდე. (6. 3—3).

ქალთა ამხანაგობის სამკურნალო-მედიკალური დეპუტე უოველ გვარს  
ს ა კ ე რ ა ვ ს ე  
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და სხვა (ცვლებზე ნიძნებს (მეტეებს).  
ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)